Dachi De Graff
https://orcid.org/0000-0001-5838-9440
Student at St Dimitri Kipiani School & College,
Project Coordinator at BRAMS Institute

AMERICAN THOUGHTS OVER MTSKHETA AND PHILLY

http://doi.org/10.5281/zenodo.7240442

(Abstract)

KEYWORDS: Mtskheta, Philadelphia, Georgia, USA, Independence, Freedom

French political philosopher, historian, and diplomat Alexis de Tocqueville (1805-1859) served as the Minister of Foreign Affairs of France from 2 June to 30 October 1849. At the age of 26, he spent a full year studying in the United States. His observations and experiences during his time in the *New World* formed the foundation of his two-volume work, *Democracy in America* (1835 and 1840). While I do not aim to emulate Tocqueville or produce a detailed study on American democracy, I cannot resist the urge to analyse, as it is impossible to spend six months in the United States without reflecting on it.

Finding research material was both easy and enjoyable, primarily because of my somewhat unconventional entry into the United States. Instead of arriving at JFK Airport in New York, I landed directly at Philadelphia International Airport, as I needed to stay in Delaware, specifically, Wilmington, the hometown of

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

Joe Biden, who was merely a presidential candidate at that time. As a result, I found myself at the heart of America's origins.

After Tocqueville's visit and analysis of the original 13 states, I found little significant change across the current 50 states. Nearly two centuries later, Tocqueville's observations still resonate: "The Americans' principal means of action is liberty; the Russians' is servitude. Their points of departure are different, and their paths are diverse. Yet each seems destined by a secret design of Providence to sway the destinies of half the globe." The opportunity for progressive change may only arise after the ongoing war in Ukraine ends and global political tensions ease. Will we continue on the same political course, or will we discover a better path? Will civil society spring into action again without careful consideration? Ordinary citizens rarely possess the power to make crucial decisions, whether they live in prosperous democracies or developing countries. Representatives are meant to serve the people; however, politics is vastly different from business, where customers have actual rights.

I glanced at the upper right corner of my laptop screen and noted that today is 9 April 2020.

Stranded in Delaware due to a pandemic in the land where the founding fathers established the American Republic, I recognised the dual significance of 9 April. Alongside two Christmases and two New Year's Days, Georgians commemorate two Independence Days: 9 April and 26 May. We celebrate these

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

fundamental events annually, symbolising our love for freedom and our enduring struggle for independence. Although officially recognised as the Day of National Unity, 9 April also marks a moment of independence for many Georgians. The mistakes made along the bloodstained and arduous path my homeland has traversed over the past two centuries are inconsequential.

The United Kingdom is currently grappling with an extended Brexit process for the fourth consecutive year and remains unable to celebrate Independence Day—a day eagerly anticipated by 17.4 million English people. The population of England is roughly ten times greater than that of Georgia, with around 51 million residents compared to Georgia's fluctuating population of between 3 and 5 million over its 30-century history. Despite numerous challenges, we have managed to establish two days of independence.

America is a distant land, and achieving complete independence for Georgia seems even more elusive than our own version of the American dream. However, consistent and rational thinking can facilitate any achievement. Idealism often proves futile in state-building due to its unrealistic and impractical nature. Georgia has faced both modern setbacks and historical triumphs, with notable successes achieved by its kings throughout history. Distinguished rulers include Pharnavaz I of All Iberia and Colchis (circa 302 to 237 BC), Vakhtang I Gorgasali of Iberia (circa 449 to 502 AD), Bagrat III of Georgia (1008 to 1014),

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

David IV the Innovator (1089 to 1125), David VI Narin (1245 to 1293), David VII Ulugh (1247 to 1270), Demetrius II (1270 to 1289), George V the Brilliant (1299 to 1302 and 1318 to 1346), George XI (1676 to 1688 and 1703 to 1709), Teimuraz II (King of Kakheti from 1733 to 1744 and King of Kartli from 1744 to 1762), and Heraclius II (King of Kakheti from 1744 to 1762 and King of Kartli-Kakheti from 1762 to 1798). As the saying goes, the height of a tree is measured by its roots. Therefore, I research the political histories of both Georgia and the United States through their former capital cities: Mtskheta and Philadelphia.

* * *

Mtskheta has held immense strategic significance for Georgia, making it a frequent target for invading forces. It is astonishing how much this small town has endured throughout its long history while remarkably preserving its legacy for us "after a thousand years."

In 65 BC, the Roman general and statesman Pompey invaded Mtskheta.

Between 736 and 738, the Arab commander Marwan ibn Muhammad, known as Marwan the Deaf in Georgian history, conquered much of Eastern Georgia and destroyed the Fortress Armaz, Mtskheta and several other cities and towns.

In the early 15th century, the renowned Mongol conqueror Tamerlane invaded Mtskheta, causing significant damage to the Svetitskhoveli Cathedral. The rich library of manuscripts at

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

Svetitskhoveli was repeatedly destroyed by invading forces; however, the surviving catalogues offer insights into the extensive collection that once existed.

In 1801, following the death of George XII of Georgia, the Russian Empire annexed the Kingdom of Kartli-Kakheti, reducing the holy city to a small village governed by the Dusheti District. However, in 1956, Mtskheta regained its status as a city and was officially designated as a city-museum. In 1973, authorities proposed a development plan for this sacred city.

This historically significant site has always played, and will continue to play, a vital role in defending the nation's sovereignty and independence. As the former capital of Georgia, Mtskheta continually rejuvenates itself, silently bestowing Georgian Orthodox grace upon both locals and visitors alike. The grandeur of the ancient Kartlosian kingdom (the Georgians) endures on its streets. As I stroll through the winding lanes of Mtskheta or circle the Svetitskhoveli Cathedral in prayer for my homeland, my thoughts intertwine the future with the past. This is the mission of Mtskheta, which has become its eternal purpose.

* * *

If Mtskheta is considered the holy city of the Georgians, then Philadelphia holds a special place in the history of the United States. The historic quarter of Philadelphia exudes a distinctive English character, with its reddish-brown brick buildings and narrow streets, which are quite uncommon in modern America. It

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

was here that the American Dream of freedom and independence was born.

For a long time, the traces of America's original inhabitants were systematically erased, which is why our knowledge about them is limited. Although the vandals of those "dark" times no longer pose a threat, modern counterparts still destroy cultural artefacts. For example, the icon of Shota Rustaveli in the Jerusalem Monastery and the Umm Leisun stone inscription, written in the Georgian Asomtavruli script dating back to the 5th century, have both been destroyed. Nevertheless, thanks to the efforts of historians and archaeologists, we still have valuable insights into the histories of both America and Georgia.

Philadelphia has housed a bronze statue of its founder, William Penn, since 1894, positioned atop City Hall. This statue oversees the city's rich heritage. While Mtskheta boasts historical monuments and religious sanctuaries, Philadelphia is renowned for its museums and striking national emblems. Strolling through the bustling streets of contemporary Philadelphia is as enjoyable as walking in Mtskheta, Tbilisi, or London. The most significant difference is the large national flags that adorn the facades of skyscrapers and buildings of various organisations throughout Philly. These flags enhance the American sky blue. Also, the display of the Star-Spangled Banner is a beautiful expression of American patriotism.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

The Benjamin Franklin Parkway is a prominent location that proudly showcases the national flags of 108 different countries. Notably, the Five-Cross Flag of Georgia is situated just two steps from the Rodin Museum at No. 2151. The proximity of the iconic sculpture, The Thinker, to the Georgian flag may suggest a profound connection to the concepts of freedom and independence. It represents not merely the act of thinking for its own sake, i.e. philosophy, but it embodies a triumphant manifestation of philosophical thought, deserving to be adorned in white marble. In contrast, Rodin's *The Thinker* depicts a figure burdened by the weight of existence, as suggested by its dark greenish hue, which evokes feelings of grief and pain.

Every country, nation, and individual has a unique purpose to fulfil, a path to walk, and challenges to confront. Discovering and fulfilling this purpose brings freedom, happiness, and benefits to society. Mtskheta and Philadelphia are two remarkable cities that serve as historical symbols of their respective nations: Georgia and the United States. At first glance, they may seem to have little in common, but they remind us that the birth of a nation is deeply rooted in the establishment of a kingdom or republic. The Liberty Bell in Philadelphia symbolises American patriotism; the Mother Bell at the Gremi Royal Citadel in eastern Georgia resonates with the legacy of another former capital in the hearts of young Georgians.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

დაჩი დე გრაფი
https://orcid.org/0000-0001-5838-9440
წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის
მრავალპროფილიანი სკოლა-კოლეჯის სტუდენტი

ამერიკული ფიქრები მცხეთასა და ფილადელფიაზე

http://doi.org/10.5281/zenodo.7240442

საკვანძო სიტყვები: მცხეთა, ფილადელფია, საქართველო, აშშ, დამოუკიდებლობა, თავისუფლება

1. დამოუკიდებლობის კონცეფცია და აშშ

ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე ალექსის დე ტოკვილი (1805-1859) 26 წლის ასაკში ერთი წლით გაემგზავრა ამერიკაში. „ახალ ქვეყანაში“ ნანახი და განცდილი თავის ყველაზე ცნობილ ნაშრომში, ისტორიულ-პოლიტიკურ ორტომეულში „დემოკრატია ამერიკაში“ აღწერა. ცხადია, პრეტენზია არ მაქვს არც ტოკვილობაზე, არც ამერიკული დემოკრატიის მონოგრაფიულ შესწავლაზე. თუმცა, გაანალიზების ინსტინქტს ვერაფერი მოვუხერხე, რადგან შეუძლებელია ამერიკის შეერთებულ შტატებში ნახევარი წელი იცხოვრო და სათქმელი თუ საფიქრალი არ დაგიგროვდეს. მით უფრო, როცა მორიგი სამეცნიერო კონფერენცია ონლაინ რეჟიმში იგეგმება ჩემს კოლეჯში. ტოკვილის მსგავსად, მაქსიმალურად მოვიარე და მოვიპოვე ინფორმაცია სამი შტატის (დელავერი, პენსილვანია, მერილენდი) ფარგლებში, სანამ კარანტინის მკაცრი კანონი მიმოსვლის თავისუფლებას ამერიკაშიც მოსპობდა.

მასალის მოძიება იოლი და სახალისო გამოდგა. ეს იმანაც განაპირობა, რომ ქართველებისთვის „არატრადიციული“ მარშრუტით წავედით: ნიუ-იორკის ნაცვლად, პირდაპირ ფილადელფიაში ჩავფრინდით, რადგან ამერიკის პირველ შტატში – დელავერში უნდა გვეცხოვრა, ჯო

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ბაიდენის (მაშინ ჯერ კიდევ მხოლოდ პრეზიდენტობის კანდიდატის) მშობლიურ ქალაქ უილმინგტონში. შედეგად, შეერთებული შტატების შექმნის ეპიცენტრში აღმოვჩნდი. საითაც გავიხედავდი, ყველგან ამერიკული ისტორიის მნიშვნელოვანი ეპიზოდი ცოცხლდებოდა. აქტიურად მივმართე ტოკვილისეულ მეთოდებს: ადგილობრივების გამოკითხვა და ფაქტების კვალდაკვალ სიარული მათი თეორიული განზოგადების მიზნით.

აშშ-ის პირველი 13 შტატის მნახველი ფრანგი პოლიტიკური მოღვაწის შემდეგ, არც არაფერი დამხვდა შეცვლილი 50-შტატიან ამერიკაში. ლამის, ორი საუკუნის შემდეგაც კვლავ აქტუალურია ტოკვილის მოსაზრება: ოდესმე ჩვენი სამყაროს მომავლის განსაზღვრა შეერთებული შტატებისა და რუსეთის ხელში აღმოჩნდებაო.[1] 2020-2022 წლების რეალობა ძველებურად უცვლელია. გარკვეული კორექტივების გაკეთების შანსს მხოლოდ უკრაინაში მიმდინარე ომისა და მსოფლიო დაძაბულობის განმუხტვა მოიტანს. დავაგდებთ გაცვეთილ პოლიტიკურ გზას და რაიმე უკეთესს გამოვძებნით, თუ სამოქალაქო საზოგადოება ურმის ხრამში გადაჩეხვას დაელოდება რეაგირებამდე, რიგით მოქალაქეებზე არაა დამოკიდებული.

ლეპტოპის ეკრანს ავხედე – დღეს 9 აპრილია.

2020 წელს, პანდემიის გამო დელავერის შტატში სწორედ იმ მიწაზე ჩარჩენილმა, სადაც ამერიკული რესპუბლიკა შექმნეს დამფუძნებელმა მამებმა, ვიგრძენი, 9 აპრილსაც გაუორმაგდა მნიშვნელობა: ქართველებს მარტო ორი შობა და ორი ახალი წელი კი არა, ორი დამოუკიდებლობის დღეც გვაქვს – 9 აპრილი და 26 მაისი, რაც ჩვენი თავისუფლების სიყვარულითა და დამოუკიდებლობისთვის ხანგრძლივი ბრძოლით დავიმსახურეთ. საბოლოოდ, 9 აპრილს ეროვნული ერთობის დღე ეწოდა, მაგრამ ჩემთვის ეს დღეც დამოუკიდებლობასთან ასოცირდება. საქართველომ ორჯერ იომა და ორჯერ გათავისუფლდა ერთი და იგივე გიგანტური მტრისგან, ორჯერ აჯობა ჩრდილოელ დამპყრობელს და ორჯერ მოიპოვა დამოუკი-

BRAMS Journal No. 7 ISSN 2667-9299 (print)
2022 Volume 3, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

დებლობა. შეცდომების სიუხვეს მნიშვნელობა არა აქვს იმ ეკლიან, სისხლიან და ულმობელ გზაზე, რომელსაც ჩემი სამშობლო გადის ბოლო ორი საუკუნეა.

მეოთხე წელი დაიწყო, რაც ბრექსითის[2] ამბავი „გაეწელათ“ ინგლისელებს. არა და არ ეღირსათ დამოუკიდებლობის დღის აღნიშნვა, რომელსაც 17.4 მლნ ადამიანი ჯიუტად ელოდება. სულ ცოტა, ათჯერ ჩვენზე მეტნი არიან – 51 მლნ ეგენი და, გააჩნია, ვინ როგორ და რომელ პერიოდში დაგვთვლის, 5 ან 3 მლნ ჩვენ. მაინც მოვახერხეთ და დამოუკიდებლობის ორი დღე გვაქვს.

გარკვეული აზრით, კარგია, პატარა რომაა ჩვენი საქართველო. ამ ერთი ციცქნა ქვეყანას თუ ამოდენა ისტორია აქვს, ბრიტანეთის იმპერიის ხელა რომ ყოფილიყო, შესაბამისად გაათმაგებული ისტორიული წარსულით, მსოფლიო, ალბათ, ვერ გადაიტანდა.

დამოუკიდებლობა ერთ-ერთი ფუნდამენტური ცნებაა ალბათობის თეორიაში, სტატისტიკასა და სტოქასტური პროცესების თეორიაში.[3] თუმცა დამოუკიდებლობის კონცეფცია არსებითია ქვეყნის სახელმწიფოებრიობისათვის, ამაზე ფილოსოფიურ მსჯელობას, ცხადია, არ ვაპირებ მოცემული გამოკვლევის მთავარი თემიდან გამომდინარე. ამავე დროს, გასათვალისწინებელია, რომ სწორედ თავისუფლება და დამოუკიდებლობა დაედო საფუძვლად საქართველოსა და შეერთებული შტატების ფორმირებას. როგორც მცხეთის, ისე ფილადელფიის შემთხვევაში, ეს ქალაქები სიმბოლურად იქცნენ ცენტრალურ, ამოსავალ წერტილებად ერთიანი ქვეყნის ფორმირებისას.

ლექსიკონების მიერ შემოთავაზებული განმარტებების მიხედვით, დამოუკიდებლობაა: 1. როდესაც ვერ გაკონტროლებენ სხვები; 2. არ ხარ სხვაზე დამოკიდებული რამენაირად; 3. ქმედებისათვის არ გჭირდება ხელმძღვანელი, ვინმესგან დახმარების მიღება, არც სხვათა აზრი ან მითითებები; 4. არ ხარ პარტიული ვალდებულებებით შეზღუდული; 5. გადაწყვეტილებას თავისუფლად იღებ და საკუთარ თავს თავადვე აკონტროლებ. ქვეყნის შემთხვე-

BRAMS Journal No. 7 ISSN 2667-9299 (print)
2022 Volume 3, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

ვაში, დამოუკიდებლობას პოლიტიკური ასპექტი ემატება: ესაა სუვერენიტეტი ანუ ქვეყნის დამოუკიდებლად მართვის შესაძლებლობა მის მთელ ტერიტორიაზე და სოციალური, ეკონომიკური თუ პოლიტიკური საქმიანობისას.[4]

ამერიკისმცოდნეობაში ხუთ ძირითად მიზეზს გამოყოფენ იმის ასახსნელად, თუ რამ გამოიწვია დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა ბრიტანეთის ცამეტ კოლონიაში, რასაც 1776 წელს დამოუკიდებლობის გამოცხადება მოჰყვა შედეგად:

- ბრიტანეთის მთავრობის გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში ამერიკული კოლონიის წარმომადგენლობის არარსებობა;
- ბრიტანეთის მთავრობის მიერ კოლონიურ ტერიტორიებზე დაწესებული კანონები და შეზღუდვები, რაც ზარალის მომტანი აღმოჩნდა ადგილობრივი ეკონომიკისათვის და მხოლოდ ცენტრალური მმართველობის სარგებელზე იყო მორგებული;
- 1750 წელს ცამეტმა კოლონიამ ერთმანეთთან მჭიდრო კონტაქტი დაამყარა და ურთიერთთანამშრომლობა დაიწყო, რამაც მათი საერთო იდენტობის ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი. შედეგად, ამერიკულმა კოლონიებმა ევროპასთან უშუალო კავშირი დაამყარეს, ბრიტანეთის გვერდის ავლით;
- კოლონიებში მოდაში შემოვიდა ფრანგი განმანათლებლების ემანსიპატორული (გამანთავისუფლებელი) და ლიბერტარიანული იდეები;
- ცამეტივე კოლონიაში დაწყებულ სახალხო საპროტესტო გამოსვლებს სასტიკი პასუხი გასცა ბრიტანულმა ხელისუფლებამ და დაძაბულობა შეიარაღებულ კონფლიქტში გადაიზარდა.[5]

1776 წელს აშშ-ის დამოუკიდებლობის დეკლარაცია დაიწერა და ხელიც მოეწერა. დიდ ბრიტანეთსა და მის ცამეტ კოლონიას შორის ხანგრძლივი ომი დაიწყო, რომელიც 1789 წელს დასრულდა: ბრიტანული სამხედრო ძა-

BRAMS Journal No. 7 ISSN 2667-9299 (print)
2022 Volume 3, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

ლები ჩრდილოეთით, კანადის ტერიტორიაზე გადაადგილდნენ, ხოლო ცამეტი კოლონია ამერიკული ერის ჩამოყალიბებას შეუდგა. 1787 წელს შეიქმნა აშშ-ის პირველი კონსტიტუციის მონახაზი,[6] ხოლო 1789 წელს – „უფლებათა ქარტიის“.[7] თუმცა, ამით მხოლოდ საფუძველი ჩაეყარა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ ხანგრძლივ, დამღლელ პოლიტიკურ სვლას „ახალი სამყაროს“ ტერიტორიაზე. წინ იყო მექსიკასთან ომი, საფრანგეთთან სამხრეთის მიწებზე დავა, ამერიკის სამოქალაქო ომი განსხვავებული ჩრდილოეთისა და სამხრეთის ერთ სახელმწიფოებრივ ქვაბში მოსათავსებლად, აფროამერიკელების უფლებათა და ქალთა თანასწორუფლებიანობისათვის, ლამის, უსასრულო ბრძოლები. ეს ყოველივე აშშ-ის კონსტიტუციის 27 შესწორებაში[8] ლაკონიურადაა გადმოცემული, ადამიანური ტკივილი თუ ინდივიდუალური განცდები კანონებიდან არ იგრძნობა. მხოლოდ შედეგია წარმოჩენილი – შეერთებულ შტატებს დამოუკიდებლობის მოპოვება გამოუვიდა. ამიტომ, 246-წლიანი ამერიკული პერიპეტიების ფონზე, ქართული სახელმწიფოებრიობისათვის ბრძოლის 33 წელი არც იმდენია, როგორც სულსწრაფ მავანს შეიძლება მოეჩვენოს.

შორია ამერიკამდე, კიდევ უფრო შორი კი – საქართველოს რეალურ დამოუკიდებლობამდე. თუმცა, შესაძლებელია ერთის განხორციელებაც და მეორის მიღწევაც, თუ ადამიანი ხშირად იფიქრებს.[2] დონკიხოტობის ადგილი სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში რომ არაა, ამის მაგალითი მრავლადაა საქართველოს დიდებულ ისტორიაში: მეფე ფარნავაზი, ვახტანგ გორგასალი, ბაგრატ III, დავით IV აღმაშენებელი, დავით ულუ და დავით ნარინი, დემეტრე II თავდადებული, გიორგი V ბრწყინვალე, გიორგი XI, თეიმურაზ II და ერეკლე II. მსოფლიოს მდიდარ გამოცდილებაშიც. ხის სიმაღლე ფესვებიდან იზომებაო, ამბობენ. ორი ქვეყნის – საქართველოსა და აშშ-ის პოლიტიკური „ფესვების“ შესწავლა მათი ძირძველი დედაქალაქებით ვცადე.

BRAMS Journal No. 7 ISSN 2667-9299 (print)
2022 Volume 3, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

2. მცხეთა-ქალაქი XXI საუკუნის გადმოსახედიდან

„მესამე იერუსალიმი“ იმდენად ახლოა თბილისთან, ნებისმიერ კარგ ამინდში ერთი მოკლე გასეირნება გამოდის. „მოკლე“ ძალიან პირობითად ითქმის, რადგან როგორც კი მცხეთის შესასვლელთან ხიდს გადაკვეთს ავტომობილი, თითქოს, დროის მანქანით გადავდივარ გაცოცხლებულ წარსულში.

მოკირწყლული ვიწრო ქუჩის ფეხით გავლა სვეტიცხოვლის ტაძრამდე ემოციურად განაწყობს მნახველს. თუმცა, მცხეთისა და მისი დიდებული ტაძრის მასშტაბურად აღქმა გაცილებით უკეთ გამომდის ჯვრის მონასტრის გადმოსახედიდან. ალბათ, ჩემსავით გაჰყურებდა მცხეთოსი მის მიერ დაარსებულ ქალაქსა და დაბურულ, შლეიფივით წაგრძელებულ შემოგარენს.

შავი და თეთრი არაგვის შეერთების ადგილს არქაულ „სამებად“ აღვიქვამ მისი უცნაური ფორმის გამო, რომელიც ჩემი ბავშვობისდროინდელი სათამაშო სპინერის[9] ფორმას მაგონებს და ბორჯღალის[10] გამარტივებულ ვარიანტად წარმომიდგება. იქნებ, ჩემმა დიდმა წინაპრებმა სწორედ ამ არაგვების ბრუნვა-ტრიალის ანალოგით მიიღეს ქართული მზის სიმბოლო? რამდენიც უნდა იმსჯელონ თანამედროვე მეცნიერებმა, ბოლომდე მაინც ვერ გამოიცნობენ და ახსნიან საქართველოს „დამფუძნებელი მამების“ შთაგონების წყაროთა საიდუმლოს.

არმაზის მთის ქრისტესშობამდელი ნანგრევებიდან დანახული სვეტიცხოველი, მართალია, ფიზიკურად ქვემოთ დგას, მაგრამ მაინც ყველასა და ყველაფერზე ამაღლებულად აღიქმება. თითქოს, ღრუბლებამდე აწვდენს გუმბათს და ზეციდან უხილავი ხელით რეკავს რწმენის იდუმალ ზარს, მართლმადიდებლობის მადლთან ჯერ არნაზიარებ უცხოელ ვიზიტორებზეც რომ მომნუსხველ ზემოქმედებას ახდენს. ამის დასტურია ტურისტების პერმანენტულად მზარდი ნაკადი სეზონიდან სეზონამდე.

ლეგენდის თანახმად, ეს ქალაქი დააარსა ეთნარქმა[11] მცხეთოსმა, რომელიც ქართველთა ლეგენდარული

BRAMS Journal No. 7 ISSN 2667-9299 (print)
2022 Volume 3, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

წინაპრის – ქართლოსის ძე იყო. მეცნიერთა მოსაზრებით, სახელწოდება „მცხეთა“ უნდა წარმოდგებოდეს ერთ-ერთი უძველესი ქართული ტომის – მესხების (მოსხები, მუშქები) სახელიდან, რომლებიც ქრისტემდე VIII საუკუნეში დასახლდნენ თანამედროვე მცხეთის ტერიტორიაზე. შესაბამისად, „ახალი იერუსალიმის“ ასაკი მინიმუმ 28 საუკუნეა.

საინტერესოა ი. რაინეგსისა და გ. კლიმოვის მიერ შემოთავაზებული ლინგვისტური ანალიზი.[12] რაინეგსი მცხეთის სახელწოდებას „ციხის“ ქართული სახელწოდების გადასხვაფერების შედეგად წარმოქმნილად თვლიდა და ამის დასტურად მოჰყავდა მცხეთის ტერიტორიაზე ციხე-სიმაგრეთა ნანგრევების სიუხვე. ენათმეცნიერულ მონაცემებზე დაყრდნობით, კლიმოვიც იმავეს ვარაუდობდა: ტერმინ „მცხეთას“ საფუძვლად უნდა დასდებოდა ქართულ-ზანური ერთობის პერიოდის სიტყვა, რომელიც „ციხეს“ ნიშნავდა. გიორგი ქავთარაძის განმარტებით, ქართულ ენას ახასიათებს ფუძის კუმშვადობა და თავსართ-ბოლოსართის დართვის შემთხვევაში, ფუძისეული „ი“ ხმოვნის შეკუმშვაც კი ხდებოდა: მ-ც(ი)ხე-თა. ქართველ მეცნიერს მსგავსი კუმშვის ნიმუშად მოჰყავს ქალაქ საჩხერესა და წყნეთის სახელწოდებათა ეტიმოლოგია:

1. მთა „ჩიხ-ი“ > მდინარე „ჩიხ-ურა“ > ქალაქი „საჩ(ი)ხ-ერე“;
2. ხის ჯიშის სახელწოდება ქართულად „მუხა“ – მეგრულად „ჭყონი“ – ძველქართული ფორმით „წყანი“ > ტოპონიმი „წყ(ა)ნ-ეთი“ (ქ. თბილისთან) და „მ-წყ(ა)ნ-ეთი“ (ბოლნისის რაიონში).

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ტერმინი „მცხეთა“ თავდაპირველი სემანტიური მნიშვნელობით ციხის ციხეს ანუ დედაციხეს აღნიშნავდა.

დიდი მცხეთა, რაც უშუალოდ მცხეთასა და მის შემოგარენსაც მოიცავს, საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ერთ-ერთი უძველესი დასახლებაა ადრინდელი და შუა ბრინჯაოს ხანიდან (ძვ. წ. III-II ათასწლეული) მოყოლებული. უკვე III–IV საუკუნეებში სამთავროს, ზემო ავ-

BRAMS Journal No. 7 ISSN 2667-9299 (print)
2022 Volume 3, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

ჭალის, წიწამურის, ნარეკვავის, წეროვანისა და ნაბეღრევის ძველი სამოსახლოები განვითარდა, გაერთიანდა და ეთნოგრაფიულად მრავალფეროვან, დიდ მცხეთად ჩამოყალიბდა. მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირზე „არმაზით კერძი ქალაქი“ იყო, ხოლო მტკვრის მარცხენა ნაპირზე – „მუხნარით კერძი ქალაქი“. იყო ვაზიც და იყო მაყვლოვანიც ორი მდინარის უძველეს შესაყართან. დასახლების ქალაქად ჩამოყალიბებას გამორჩეულად შეუწყო ხელი მის ტერიტორიაზე ორი სავაჭრო გზის გადაკვეთამ – ერთი მტკვრის ხეობას მიყვებოდა, მეორე კი არაგვის ხეობას.[13] მიწათმოქმედი და მესაქონლე მოსახლეობა თანდათანობით ჩაანაცვლეს ქალაქური ცხოვრების სტილის მიმდევარმა მცხეთელებმა.

ანტიკური პერიოდის დიდი მცხეთა რამდენიმე უბნისგან შედგებოდა: საკუთრივ მცხეთა, არმაზი, მოგვთაკარი, სარკინე, წიწამური (იგივე, სევსამორა) და სხვ. თითოეულ უბანს ჰქონდა გალავანი, ჭიშკარი, მთავარი მოედანი, სავაჭრო სახლები, აბანო და წყალსადენი. საცხოვრებელ სახლებს მაშინაც მთის კალთებზე აგებდნენ. სახელოსნოები, სასაფლაოები, ხილის ბაღები და ვენახები დაბლობში ჰქონდათ. არისტოკრატიის უბანი არმაზისხევში მდებარეობდა. ცალკეული უბნის მოსახლეობა მეურნეობის ერთ კონკრეტულ სახეობას მისდევდა: სარკინეში ლითონის წარმოებას, წიწამურში სოფლის მეურნეობას, კარსნისხევში მეთუნეობას და ა.შ.

ტაძრებს გორაკებზე აგებდნენ: არმაზის[14] კერპი ბაგინეთის მთაზე იდგა, აინინა და დანანა – არმაზის გზაზე, ზადენი – წიწამურის გორაზე. თითოეული უბნის ციხესიმაგრე დიდი მცხეთის თავდაცვის ერთიან სისტემას ქმნიდა, რომლის მთავარ ნაწილს წარმოადგენდა ბაგინეთის მაღალ მთაზე აგებული არმაზციხე. ეს იყო დიდად გამაგრებული შიდა ციხე, რომელიც მეფის რეზიდენციის დანიშნულებას ასრულებდა. ძვ. წ. IV საუკუნის ბოლოდან მცხეთა ახლადშექმნილი იბერიის სამეფოს პოლიტიკური ცენტრი გახდა.

BRAMS Journal No. 7 ISSN 2667-9299 (print)
2022 Volume 3, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

მცხეთას საფუძვლიანად ეწოდება ქალაქ-მუზეუმი მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენათა და არქიტექტურულ ძეგლთა[15] სიმრავლის გამო. ქართველთა მადლიანი ხელით შექმნილ გასაოცარ, ულამაზეს მემკვიდრეობას მოიცავს ალმასისხელა დასახლება:

- მცხეთის აკლდამა[16] – I საუკუნის ბოლოთი თარიღდება;
- არმაზის ბილინგვა[17] (იგივე, სერაფიტას სტელა) – 150 წლით დათარიღებული ორენოვანი (არამეული და ბერძნული) ეპიტაფია;
- სვეტიცხოველი – IV საუკუნეში ხის ეკლესია, V საუკუნეში ქვის ბაზილიკა (არც ერთი აღარ არსებობს), 1010-1029 წლებში აიგო დიდი ტაძარი (ხუროთმოძღვარი – არსუკისძე, იგივე, კონსტანტინე არსაკიძე);
- სამთავროს წმ. ნინოს ეკლესია[18] – IV საუკუნეში აიგო, XIX საუკუნეში გადააკეთეს;
- გეთსიმანია[19] (იგივე, ჯვრისუბნის ეკლესია, ანდა – მოგვთა უბნის ეკლესია) – მცხეთის ადრექრისტიანული ეკლესია, დაახლოებით, IV-V სს. ძეგლი.
- ჯვრის მონასტერი (იგივე, ჯაჭვის საყდარი) – მცირე ეკლესია (VI საუკუნის II ნახევარი), დიდი ტაძარი (585/6–604 წლებში);
- ზედაზნის მონასტერი[20] – VI-VII საუკუნეების მიჯნაზე აიგო და არაერთხელ გადაკეთდა თუ გაფართოვდა VIII-XII საუკუნეების განმავლობაში;
- მცხეთის ანტიოქია (იგივე, სტეფანე პირველმოწამის ტაძარი) – VII-VIII საუკუნეებში აიგო ძველი სამნავიანი ბაზილიკის გადაკეთებით მიღებული დარბაზული ეკლესია. 2002 წლიდან სტეფანწმინდის ტაძართან ამოქმედდა წმინდა სტეფანე პირველმოწამის სახელობის დედათა მონასტერი;
- სვეტიცხოვლის კარიბჭე – 1029 წელს განეკუთვნება;

BRAMS Journal No. 7
2022 Volume 3, Issue 3/4
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

- სამთავროს ტაძარი – 1030-იან წლებში აიგო;
- წმ. ბარბარეს ერთნავიანი, დარბაზული ეკლესია (ბარბარეთის ეკლესია) – X-XI საუკუნეების მიჯნაზე აიგო;
- მცხეთის სამების ეკლესია – XI საუკუნის პირველი მესამედის დარბაზული ნაგებობა;
- სამთავროს მონასტერი[21] – XI საუკუნის პირველი ნახევრის საეპისკოპოსო ტაძარი;
- კათალიკოს მელქისედეკის სასახლის ნაშთები – XI საუკუნეს განეკუთვნება;
- ოლღას მონასტერი (ყოფილი, ახალქალაქური ერთნავიანი ეკლესია) – აიგო XI-XII საუკუნეებში, XIX საუკუნეში გადააკეთეს;
- კალოუბნის წმ. გიორგის ერთნავიანი, დარბაზული ეკლესია[22] – XII საუკუნის ნაგებობა, ცნობილი თავისი მონუმენტური მოხატულობით, რომელიც საბჭოთა ტურისტებმა დააზიანეს რუსულენოვანი წარწერების ამოკაწვრით;
- არმაზის ღვთისმშობლის ეკლესია – XII საუკუნის II ნახევარში აგებული;
- არმაზის ციხე – XIII-XV საუკუნეებით თარიღდება.
- სვეტიცხოვლის გალავანი – 1787 წელს აგებული;
- ბებრის (ბელტის) ციხე – გვიანდელ ანტიკურ-ფეოდალურ ხანაში აგებული;
- მცხეთის ღვთისმშობლის ეკლესია – გვიანდელი ფეოდალური პერიოდის;
- მგალობლიანთკარის დარბაზული ეკლესია – XVIII-XIX საუკუნეებით დათარიღებული.

უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის მქონე პატარა ქართულ ქალაქს არაერთხელ გადაუარა ომის ქარცეცხლმა. საოცარია, რამდენს გაუძლო და მაინც რამდენი რამ შემოგვინახა „ათას წლის შემდეგ“.[23] ძვ. წ. 65 წელს რომაელმა სარდალმა პომპეუსმა დალაშქრა. 736-738 წლებში არაბმა სარდალმა მურმან II იბნ მუჰამადმა (იგივე, მურ-

BRAMS Journal No. 7 ISSN 2667-9299 (print)
2022 Volume 3, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

ვან ყრუ) დაიპყრო და გაანადგურა. მისმა ჯარმა დაანგრია არმაზციხე. XV საუკუნის დასაწყისში თემურლენგმა (1370-1405) დაარბია მცხეთა და საგრძნობლად დააზიანა სვეტიცხოვლის ტაძარი. მცხეთის სვეტიცხოვლის ხელნაწერთა უმდიდრესი ბიბლითეკა მტრების შემოსევისგან მრავალჯერ განადგურდა. ჩვენამდე მოაღწია მცხეთის წიგნსაცავის მრავალმა მნიშვნელოვანმა ნუსხამ.

1801 წელს მეფე გიორგი XII-ის გარდაცვალების შემდეგ რუსეთის იმპერიამ ქართლ-კახეთის სამეფო დაიპყრო და ქართველთა წმინდა ქალაქი დუშეთის მაზრის მცირე სოფლად გადააქცია. მხოლოდ 1956 წელს აღუდგა ქალაქის სტატუსი საქართველოს ყოფილ დედაქალაქსა და სულიერების ძირძველ კერას. კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოებამ 1874 წლიდან დაიწყო სამთავროს სამაროვანის კვლევა, ხოლო 1930-იანი წლებიდან გეგმაზომიერი არქეოლოგიური სამეცნიერო კვლევები დაიწყეს ივანე ჯავახიშვილმა და სიმონ ჯანაშიამ, რაც მათმა მემკვიდრეებმა განაგრძეს. 1940 წელს არქეოლოგიურ და არქიტექტურულ ნაკრძალად გამოცხადდა არმაზის მიდამოები, 1957 წელს – ძველი მცხეთის ტერიტორია მდ. არაგვსა და მდ. მტკვარს შორის ბებრის ციხემდე, 1966 წელს – მცხეთის ტერიტორია მთლიანად. 1968 წლიდან მცხეთა ოფიციალურად გამოცხადდა ქალაქ-მუზეუმად და 1973 წელს დამტკიცდა მისი, როგორც ქალაქ-მუზეუმის, განვითარების გენერალური გეგმის პროექტი, რომელიც შექმნეს არქიტექტორებმა – ა. ბაგრატიონმა, ჰ. გოცირიძემ, ც. დიდებულიძემ, თ. მენაბდემ, ა. ლომთაძემ, ვ. საგინაშვილმა და ვ. ფაფერაშვილმა, ასევე, ინჟინერ-ეკონომისტმა – ვ. ბარათაშვილმა. 1975 წელს ჩამოყალიბდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მცხეთის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიცია ა. აფაქიძის ხელმძღვანელობით.

ამ ისტორიულად უმნიშვნელოვანეს წმინდა ადგილს მუდამ ჰქონდა და ექნება გამორჩეული ფუნქცია ქვეყნის სახელმწიფოებრიობის დაცვისათვის. ქვაში ჩაკირული

BRAMS Journal No. 7 ISSN 2667-9299 (print)
2022 Volume 3, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

ქართული მართლმადიდებლური მადლით აღავსებს ადგილობრივსა თუ უცხოელ მნახველს საქართველოს ძველი, მარადიულად განახლებადი დედაქალაქი. მის ვიწრო ქუჩებს ქართლოსიანთა არქაული სამეფოს დიდებულება შემორჩენია. როცა მცხეთაში დავსეირნობ ან სვეტიცხოვლის ტაძარს სამშობლოზე ლოცვით გარს შემოვუვლი, წარსულის გავლით მომავლისკენ მიმიწევს ფიქრიც და გულიც. სწორედ ამ კუთხით მესახება მცხეთა-ქალაქის მომავალი ეროვნული მისია, მის მარადიულ ფუნქციად რომ ქცეულა.

3. ფილადელფიის დედაქალაქური წარსული

თუ ქართველთა წმინდა ქალაქი მცხეთა საქართველოს სახელმწიფოებრიობის ბალავარია, ქალაქი ფილადელფია ამერიკის შეერთებული შტატების საძირკვლად ჩაითვლება. მისი ძველი უბანი წმინდა ინგლისურ დასახლებას მაგონებს მოწითალო-მურა აგურით ნაგები შენობებისა და ამერიკისთვის უჩვეულოდ ვიწრო ქუჩების გამო. სწორედ აქ დაიბადა „ამერიკული ოცნება“ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობაზე.

ნიუ-იორკისა თუ ლოს-ანჯელესის მეტროპოლიებთან შედარებით, მომცრო ფილადელფია ულამაზესი ისტორიული და თანამედროვე უბნებისგან შედგება. ახლა, ფაქტორბივად, გამქრალია ადგილობრივი ამერიკული ტომის – ლენაპეს კვალი, ვინც ამ ადგილას 8 ათასი წლის წინათ სახლობდა და, ძირითადად, ნადირობასა და შემგროვებლობას მისდევდა. იმ დროს ქართველთა წინაპრები პირველ სამოსს სხვადასხვა ფერით ღებავდნენ და ბეწვით აწყობდნენ, თან თაფლიან სამკუთხა ნამცხვარს აცხობდნენ და ქვევრის ღვინოს წურავდნენ. ნადირობა და მწვადის შეწვა-დაგემოვნებაც ეყვარებოდათ.

ძალიან დიდი ხნის განმავლობაში იშლებოდა და იკარგებოდა ამერიკის პირველყოფილი მოსახლეობის ნაკვალევი. ამიტომ არ ვიცით ბევრი რამ. იმ „ბნელი“ დროის

BRAMS Journal No. 7 ISSN 2667-9299 (print)
2022 Volume 3, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

ვანდალების რა უნდა გაგვიკვირდეს, როდესაც XXI საუკუნეში იერუსალიმში შოთა რუსთაველის ფრესკა დაგვიზიანა სხვა ერის წარმომადგენელმა და ქვაში ნაკვეთი უძველესი ქართული წარწერების გადაფხეკასაც თავს არ ანებებს. თუმცა, ისტორიკოსებისა და, განსაკუთრებით, არქეოლოგების წყალობით, მაინც საკმარისი ინფორმაცია გვაქვს როგორც ამერიკის, ისე საქართველოს წარსულზე.

1600-იანი წლების დასაწყისში კოლონიზატორმა ვაჭრებმა გაცვლითი პუნქტები დააარსეს დელავერის ველის მიდამოებში. კვაკერული ნაწერების გამო 1668 წელს ციხეში მოხვედრილ უილიამ პენს[24] 1681 წელს ინგლისის მეფე ჩარლზ II-მ ჩრდილოეთ ამერიკაში დასახლების ნებართვა მისცა. მონარქის რწმუნებული 1682 წელს ჩავიდა დანიშნულების ადგილზე, სადაც პენსილვანიის კოლონია დააარსა. პაციფისტმა პენმა ხელი მოაწერა სამშვიდობო ხელშეკრულებას ლენაპეს ტომის ბელად ტამანენდთან, რითიც საფუძველი ჩაუყარა ტოლერანტობისა და ადამიანის უფლებების დაცვის ტრადიციას. ამგვარად, „ძმური სიყვარულის ქალაქმა“ (ბერძნულად philos „მოსიყვარულე“ და adelphos „ძმა“) სახელწოდება ფაქტობრივადაც გაამართლა.

1894 წლიდან მოყოლებული, ფილადელფიას ამშვენებს მისი დამაარსებლისა და „ნათლიის“, უილიამ პენის ბრინჯაოს ქანდაკება,[25] რომელიც ამაყად გადმოჰყურებს საკუთარ ისტორიულ მემკვიდრეობას ქალაქის რატუშიდან.[26] ზეპირი შეთანხმების საფუძველზე, 90 წლის განმავლობაში ფილადელფიაში არ აუგიათ შენობა, რომელიც პენის ქანდაკებაზე მისი შლაპის სიმაღლეს ასცდებოდა. მხოლოდ 1985 წელს გაიცა თავისუფლების კომპლექსის[27] აგების ნებართვა, რომელიც ცათამბჯენებს – 61-სართულიან „თავისუფლება ერთსა“ და 58-სართულიან „თავისუფლება ორს“ მოიცავს. 288 მ და 258 მ სიმაღლის ეს ორი შენობა ფილადელფიის სავიზიტო ბარათად გადაიქცა. თუმცა ქალაქს უკვე 300-ზე მეტი მასიური ნაგებობა ამშვენებს, უმაღლესის საპატიო სტატუსს იყოფს

BRAMS Journal No. 7 ISSN 2667-9299 (print)
2022 Volume 3, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

2007 წელს აგებული 58-სართულიანი (297 მ) კომკასტის კოშკი[28] და 2017 წელს აღმართული 60-სართულიანი (342 მ) კომკასტის ტექნოლოგიური ცენტრი.[29] XXI საუკუნეში თავისუფლების კომპლექსმა მესამე-მეოთხე ადგილებზე გადაინაცვლა და „ბილი პენის წყევლაც“[30] დასრულდა.

უილიამ პენის კვაკერული პოლიტიკის მეტყველი ნიმუშია 1684 წელს მომხდარი ისტორიული ფაქტი. გემმა „იზაბელამ“ რამდენიმე ასეული დამონებული აფრიკელი მიიყვანა ფილადელფიაში, რამაც ქალაქის კვაკერი მოსახლეობის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. შედეგად, 1688 წელს „ახალ სამყაროში“ პირველი ორგანიზებული ანტიმონური პროტესტი განხორციელდა ჯერმანტაუნის მონობის საწინააღმდეგო პეტიციის[31] სახით. უილიამ პენის მეგობრულმა და ტოლერანტული უმრავლესობით დასახლებულმა კოლონიამ ყველას დაუმტკიცა, რომ სხვა ადამიანების ექსპლუატირების გარეშე, საკუთარი მონდომებითა და შრომით მშვენივრად შეიძლებოდა კეთილდღეობის მიღწევა. სულ მალე ფილადელფია გადაიქცა გემთმშენებლობის უდიდეს ცენტრად ამერიკულ კოლონიებში და პირველი მსოფლიო ომის მიწურულამდე დარჩა შტატის ეკონომიკური აყვავების ქვაკუთხედად.

ჯერმანტაუნი ფილადელფიის ერთ-ერთი უძველესი, ისტორიული მოგონებებით სავსე უბანია. მის ტერიტორიაზე არაერთი ძველი შენობაა შემონახული, რომელთაგან ზოგიერთი ღიაა დამთვალიერებლებისთვის. ანტიმონური მოძრაობის აკვანი ასევე გადაიქცა ამერიკული რევოლუციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბრძოლის ველად. გარკვეული პერიოდის განმავლობაში აქ ცხოვრობდა ჯორჯ ვაშინგტონი, აქვე დაფუძნდა შეერთებული შტატების პირველი ბანკი. ჯერმანტაუნი მრავალი გამოჩენილი ამერიკელი პოლიტიკოსის, მეცნიერის, ხელოვანისა და საზოგადო მოღვაწის მშობლიური უბანი იყო: მწერალი ლუიზა მეი ოლკოტი („პატარა ქალების“ ავტორი), კომიკოსი მსახიობი ბილ კოზბი, გამომგონებელი ჩარლზ დაროუ (თამაში „მონოპოლია“), მსახიობი და პოეტი ჰენრი გიბსონი

BRAMS Journal No. 7 ISSN 2667-9299 (print)
2022 Volume 3, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

(ფილმიდან „გარეუბანი“ (1989), ჯაზ-მუსიკოსი რუფუს ჰარლი, დრამატული სოპრანო ფლორენს კერკი, ამერიკის სამოქალაქო ომამდელი მწერალი და ჟურნალისტი ჯორჯ ლიპარდი („კვაკერთა ქალაქისა“ და „რევოლუციის ლეგენდების“ ავტორი), მწერალი ლოგან მარშალი („ტიტანიკის ჩაძირვა და დიდი საზღვაო კატასტროფების“ ავტორი), ქიმიკოსი რობერტ მაკნილ-უმცროსი (ტკივილგამაყუჩებელ ტაილენოლის შემქმნელი), მწერალი ჯეიმს მოროუ, ინჟინერი და სამოქალაქო ომის ვეტერანი უილიამ ჯექსონ პალმერი (ქალაქ კოლორადო-სპრინგზის დამაარსებელი), ამერიკის ერთ-ერთი დამფუძნებელი მამა ედმუნდ რენდოლფი, ქიმიის დარგში ნობელის პრემიის პირველი ამერიკელი ლაურეატი თეოდორ უილიამ რიჩარდსი, პორტრეტისტი გილბერტ სტუარტი, მილიარდერი ბიზნესმენი ჯეიმს ჰავარდ მარშალი მეორე, 1920-1925 წლებში მოყვარულთა შორის მსოფლიოს ნომერი პირველი ჩოგანი ბილ ტილდენი, 1905-1933 წლებში მილუოკის ეპისკოპოსი უილიამ უოლტერ უები, დასავლური მხატვრული ლიტერატურის მამად მიჩნეული მწერალი და ისტორიკოსი ოუენ უისტერი („ვირჯინიელისა“ და ულის გრანტის ბიოგრაფიის ავტორი), ამერიკული რევოლუციის თინეიჯერი მემატიანე სარა (სალი) უისტერი (ეპისტოლარული კრებულის „სალი უისტერის დღიურები“[32] ავტორი) და სხვ.

„ძმური სიყვარულის ქალაქმა“ სახელი მრავალი მიზეზით გაითქვა. პენსილვანიის შტატის უდიდეს ურბანულ დასახლებას განსაკუთრებულს ხდის მსოფლიო დემოკრატიის სამი უნიკალური არტეფაქტი:[33] თავისუფლების ზარი, დამოუკიდებლობის დარბაზი და როკი ბალბოას ქანდაკება. ჩემი აზრით, ისინი ეროვნული, სახელმწიფოებრივი და პიროვნული „ლიბერტარიანიზმის“[34] სიმბოლოებს წარმოადგენენ.

ამ ლამაზი, მეგობრული ქალაქით მოხიბლული ბენჯამინ ფრანკლინი[35] სწორედ აქ დასახლდა. როდესაც 1728 წელს სემუელ კაიმერის მიერ დაარსებული პერიოდული გამოცემა მეპატრონის გაკოტრების გამო გაიყიდა,

BRAMS Journal No. 7 ISSN 2667-9299 (print)
2022 Volume 3, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

ფრანკლინმა პარტნიორ ჰიუ მერედიტთან ერთად შეიძინა „პენსილვანია გაზეთი“ და 1729 წლის 2 ოქტომბერს მისი რედაქტორ-გამომცემელი გახდა. აშშ-ის უდიდესი[36] დამფუძნებელი მამა ხშირად პუბლიკაციებსაც აქვეყნებდა ფსევდონიმით. აღსანიშნავია, რომ 1754 წლის 9 მაისს „პენსილვანია გაზეთში“ დაიბეჭდა ამერიკის ისტორიაში პირველი პოლიტიკური კარიკატურა „შეუერთდი, ან დაიღუპები“[37] ამერიკულ კოლონიებში არსებული განხეთქილების თემაზე, რომლის ავტორიც ბენჯამინ ფრანკლინი თავად იყო.

1735 წელს პენსილვანიის სახელმწიფო სახლში, რომელიც მოგვიანებით დამოუკიდებლობის დარბაზად[38] გადაიქცა, ჩატარდა ასამბლეის პირველი სხდომა.[39] 1751 წელს სახელმწიფო წარმომადგენლებმა ამ შენობისთვის შეუკვეთეს დიდი ზარი და ზედ ამოატვიფრინეს ციტატა ბიბლიიდან: „მიმოითქუას მიტევებაი იგი ქუეყანასა ყოველსა დამკუიდრებულსა მას ზედა“[40] (ლევ. 25:10).[41] ასე ჩაეყარა საფუძველი ქვეყნის ყველა მაცხოვრებლის გათავისუფლების ამერიკულ კონცეფციას. თუმცა, შტატების თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის იდეა ეტაპობრივად ჩამოყალიბდა. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ 1760-იან წლებში ბრიტანეთის პარლამენტმა მთელი რიგი საგადასახადო აქტები[42] მიიღო კოლონიებთან დაკავშირებით, რის გამოც ამერიკის მოსახლეობა აღშფოთდა და საპასუხო ნაბიჯებიც გადადგა:

- 1774 წელს კონტინენტური კონგრესი შეიკრიბა ფილადელფიაში;
- 1776 წლის დასაწყისში ფილადელფიაში გამოიცა, პოპულარულობა მოიპოვა და დიდი ტირაჟით გავრცელდა თომას პეინის პამფლეტი „საღი აზრი“;[43]
- 1776 წლის 4 ივლისს ამერიკის დამფუძნებელმა მამებმა დამოუკიდებლობა ოფიციალურად გამოაცხადეს. ქალაქ ფილადელფიის მაცხოვრებლებს გააცნეს დამოუკიდებლობის დეკლარაცია, რომ-

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ლის ტექსტიც საჯაროდ წაიკითხეს საკანონმდებლო ორგანოს შენობის – სახელმწიფო სახლის ეზოში;

- 1787 წელს „ძმური სიყვარულის ქალაქში“ დაიწერა აშშ-ის კონსტიტუცია.[44]

ამერიკული რევოლუციის პერიოდში, 1777 წელს ფილადელფიის ჩრდილო-დასავლეთ უბანში გაიმართა ისტორიული შეტაკება – ჯერმანტაუნის ბრძოლა.[45] ბრიტანეთისგან დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, 1790 წელს ამერიკის შეერთებული შტატების დედაქალაქობის პატივი წილად ხვდა ფილადელფიას, რომელიც იმ პერიოდში ახალი ერის უდიდეს ქალაქად გადაქცეულიყო თავისი 44 ათას 96 მაცხოვრებლით. შედარებისთვის, XIII საუკუნის 5-მილიონიანი საქართველოს სამეფოდან 1790-იანი წლებისთვის დღევანდელ საზღვრებში ქვეყნის მოსახლეობა 700 ათასამდე იყო დარჩენილი.[46]

ამერიკის ისტორიაში პირველობის პატივი ფილადელფიას კიდევ მრავალგზის ერგო, რადგან XVIII საუკუნის მეორე ნახევარსა და XIX საუკუნეში სწორედ ამ ქალაქში შეიქმნა თანამედროვე ამერიკის, თითქმის, ყველა აუცილებელი სახელმწიფო ინსტიტუცია:

- პირველი საჯარო ბიბლიოთეკის ტიტული ბენჯამინ ფრანკლინის მიერ 1731 წლის 8 ნოემბერს გახსნილ ფილადელფიის საბიბლიოთეკო კომპანიას ერგო. მანამდე წიგნები ფუფუნების საგნად ითვლებოდა სიძვირის გამო და მათზე ხელი მხოლოდ მდიდრებს ან სასულიერო პირებს მიუწვდებოდათ. საეკლესიო არქივებისგან განსხვავებით, სადაც ლათინურენოვანი წიგნები ჭარბობდა, ფრანკლინის მიერ დაარსებული ბიბლიოთეკის კარტოთეკაში, უმეტესად, ინგლისურენოვანი ნაბეჭდი პროდუქცია ინახებოდა. უიშვიათესი გამოცემების უძველესი ამერიკული წიგნსაცავი[47] დღემდე ფუნქციონირებს;

BRAMS Journal No. 7 ISSN 2667-9299 (print)
2022 Volume 3, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

- პენსილვანიის უნივერსიტეტი,[48] რომელიც 1740 წელს დააარსა (ლიცენზია 1755 წელს მიიღო) ბენჯამინ ფრანკლინმა, ამერიკის პირველი უმაღლესი დაწესებულების ტიტულზე აცხადებს პრეტენზიას სამი მიზეზით: პირველი ამერიკული უნივერსიტეტია, რომელსაც საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები ჰქონდა, პირველად აქ შესთავაზეს სტუდენტებს მრავალდისციპლინური სასწავლო კურსები სხვადასხვა დარგში და 1765 წელს სწორედ პენსილვანიის უნივერსიტეტმა გახსნა აშშ-ში პირველი სამედიცინო სასწავლებელი. თუმცა, პირველი ჰარვარდის უნივერსიტეტი დაარსდა 1636 წელს (ლიცენზია მიიღო 1650 წელს) „ახალი კოლეჯის“ სახელწოდებით. ასევე პენსილვანიის უნივერსიტეტზე ძველია 1701 წელს დაარსებული იელის უნივერსიტეტი, რომელსაც ახლანდელი სახელი 1718 წელს ეწოდა;
- პირველი ამერიკული ჟურნალები 1741 წელს გამოიცა.[49] ამ საქმეში ერთმანეთს კონკურენციას უწევდა ორი ფილადელფიური გაზეთის გამომცემელი – ენდრიუ ბრედფორდი და ბენჯამინ ფრანკლინი. ბრედფორდმა სულ სამი დღით დაასწრო ფრანკლინს და „ამერიკული ჟურნალი“ (*American Magazine*) გამოსცა. ფრანკლინის „მთავარი ჟურნალი“ (*General Magazine*) აშშ-ის მედიაისტორიას მეორე ამერიკული ჟურნალის სტატუსით შემორჩა. ბრედფორდის გამოცემამ მხოლოდ სამი თვე იარსება, ფრანკლინის ჟურნალმა – ნახევარი წელიწადი;
- 1743 წელს ბენჯამინ ფრანკლინმა ამერიკის ფილოსოფიური საზოგადოება[50] დააარსა;
- 1751 წელს ბენჯამინ ფრანკლინისა და თომას ბონდის ძალისხმევით დაარსდა და 1752 წლის 11 თებერვალს გაიხსნა ამერიკაში პირველი საავადმყო-

BRAMS Journal No. 7 ISSN 2667-9299 (print)
2022 Volume 3, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

ფო.[51] პენსილვანიის ეს ჰოსპიტალი დღემდე ფუნ-ქციონირებს. სწორედ იქ დაიბადნენ ჩემი ბიძაშვი-ლები – ლუკა და ოლივერი;

- 1752 წელს ბენჯამინ ფრანკლინმა ჩამოაყალიბა ამერიკაში პირველი სადაზღვევო კომპანია „ფილა-დელფიის კონტრიბუცია“;
- 1753 წელს დამთავრდა არქიტექტურული ორნამენ-ტების სილამაზით გამორჩეული პენსილვანიის სა-ხელმწიფო სახლის[52] მშენებლობა;[53]
- როგორც უკვე ვთქვით, ბენჯამინ ფრანკლინის მი-ერ 1754 წლის 9 მაისს „პენსილვანიის გაზეთში“ გამოქვეყნებული „შეუერთდი, ან დაიღუპები“ ით-ვლება პირველ პოლიტიკურ კარიკატურად[54] აშშ-ში;
- 1755 წელს აიგო საეპისკოპოსო ტაძარი ქრაისთ-ჩერჩი,[55] რომელმაც არსებითი როლი შეასრულა შეერთებული შტატების პროტესტანტული საეპის-კოპოსო ეკლესიის დაარსებაში. დღეს იგი ძველი ფილადელფიის არქიტექტურული, ისტორიული, კულტურული და რელიგიური მნიშვნელობის ძეგლს წარმოადგენს;
- თავისი დროის გამოჩენილმა, ირლანდიური წარმო-შობის ამერიკელმა მესტამბემ, ჯონ დანლაპმა (1747-1812) 1771 წელს დააარსა პირველი ყოველ-დღიური ამერიკული გაზეთი „პენსილვანიის პაკე-ტი და მთავარი სარეკლამო გამოცემა“ (*Pennsylvania Packet and the General Advertiser*), რო-გორც ყოველკვირეული პერიოდული ორგანო. 1784 წლის 21 სექტემბრიდან იგი ყოველდღიურ გაზე-თად გადაკეთდა და სახელწოდებაც შესაბამისად შეეცვალა – „პენსილვანიის პაკეტი და ყოველდღი-ური სარეკლამო გამოცემა“ (*Pennsylvania Packet, and Daily Advertiser*).[56] 1796 წლის 19 სექტემბერს „პენ-სილვანიის პაკეტში“ ექსკლუზიურად გამოქვეყნდა

BRAMS Journal No. 7 ISSN 2667-9299 (print)
2022 Volume 3, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

ჯორჯ ვაშინგტონის გამოსამშვიდობებელი მიმართვა[57] ამერიკელი ხალხისადმი. გაზეთმა რამდენჯერმე შეიცვალა სახელწოდება და მფლობელი. მის სიმბოლურ მემკვიდრედ მიიჩნევა პულიტსერის პრემიის 20-გზის მფლობელი, ყოველდღიური გაზეთი „ფილადელფიის მკვლევარი“ (*The Philadelphia Inquirer*),[58] რომელიც ჯონ რ. უოკერმა და ჯონ ნორველმა 1829 წლის 1 ივნისს დააარსეს;

- 1772 წლის 23 აპრილს, გიორგობა დღეს, კარპენტერს-ჰოლში ჩატარდა წმ. გიორგის საზოგადოების[59] დამფუძნებელი კრება. გეორგიანულ-იტალიურ სტილში გადაწყვეტილი არქიტექტურული ძეგლი სხვა არაერთი ორგანიზაციის (ფრანკლინის ბიბლიოთეკის კომპანია, ამერიკული ფილოსოფიური საზოგადოება, შეერთებული შტატების პირველი და მეორე ბანკები) სხდომებსაც რეგულარულად მასპინძლობდა;
- 1774 წლის 5 სექტემბრიდან 26 ოქტომბრამდე ჩრდილოეთ ამერიკის ცამეტი შტატის (მხოლოდ ჯორჯიიდან არ ესწრებოდა დელეგატი) პირველი კონტინენტური კონგრესი[60] მიმდინარეობდა „ისტორიული ფილადელფიის სპეკალის“ – კარპენტერს-ჰოლის[61] შენობაში. 1771-1777 წლებში ამ შენობაში იმართებოდა ფილადელფიელ ღურგალთა გილდიის სხდომები.
- 1775 წლის 14 აპრილს ფილადელფიაში დაარსდა პირველი საზოგადოება მონობის წინააღმდეგ;[62]
- 1782 წელს ფილადელფიაში პორტრეტების სამხატვრო გალერეა გახსნა ამერიკელმა პატრიოტმა,[63] მხატვარმა და პოლიტიკოსმა, ჩარლზ უილსონ პილმა (Charles Willson Peale, 1741-1827);
- 1783 წელს გაიხსნა და დღემდე წარმატებით ფუნქციონირებს ამერიკის პირველი იურიდიული ფირმა „როული და ჰენდერსონი“;[64]

BRAMS Journal No. 7 ISSN 2667-9299 (print)
2022 Volume 3, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

- 1786 წელს ჩარლზ პილმა ბუნებისმცოდნეობის ისტორიის მუზეუმი[65] დააარსა ფილადელფიაში;
- 1787 წელს გამომგონებელმა ჯონ ფიტჩმა (1743-1798) წარმატებით განახორციელა საცდელი მგზავრობა მდინარე დელავერზე მის მიერ აგებული პირველი ორთქლმავალი გემით.[66] ექსპერიმენტს ესწრებოდნენ საკონსტიტუციო კონვენტის წევრები. 1791 წლის 26 აგვისტოს მას ასეთი გემების აგების ამერიკული პატენტი მიანიჭეს და კიდევ სამი ორთქლმავალი შექმნა 1796 წლამდე. ტექნიკურად გამართული, მაგრამ კონსტრუირებისა და ოპერირების კუთხით დიდ ხარჯებთან დაკავშირებული ფიტჩის გემები ეკონომიკურად გაუმართლებელი გამოდგა. მისი გარდაცვალების შემდეგ, ამ ნაკლის აღმოფხვრა მოახერხა რობერტ ფულტონმა (1765-1815), რის გამოც მას დამსახურებულად ეწოდა „ორთქლმავლით ნავიგაციის მამა“;
- 1790 წლის 31 ივლისს აშშ-ის პრეზიდენტმა ჯორჯ ვაშინგტონმა ხელი მოაწერა პირველ ამერიკულ პატენტს სემუელ ჰოპკინსის სახელზე.[67] ეს პატენტი გაიცა სასუქში გამოყენებული ინგრედიენტის – კალიუმის მიღების მეთოდისთვის. აღსანიშნავია, რომ ამერიკის მთავრობის მიერ გაცემული პირველი 9 ათას 957 პატენტი დანომრილი არ იყო. ამიტომ, ნომერ პირველი პატენტი, რომელიც ორთქლმავლის ლოკომოტივის წამყვანი თვლის წარმოებას შეეხებოდა, 1836 წლის 13 ივლისს გაიცა ჯონ რაგლზის სახელზე;
- 1790 წელს შეიქმნა პირველი საფონდო ბირჟა;[68]
- 1791 წლის დეკემბერში დაარსდა შეერთებული შტატების პირველი ბანკი;[69]
- 1792 წლის 2 აპრილს ამერიკის კონგრესის მიერ მიღებული „მონეტების აქტის“[70] საფუძველზე შეიქმნა აშშ-ის ზარაფხანა;[71]

BRAMS Journal No. 7 ISSN 2667-9299 (print)
2022 Volume 3, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

- 1792 წელს დაიწყეს ფილადელფია-ლანკასტერის ფასიანი შარაგზის[72] დაგება, რასაც ორ წელზე მეტი მოანდომეს და 1795 წელს დაამთავრეს. ეს იყო პირველი მყარზედაპირიანი და პირველი ფასიანი გზა შეერთებულ შტატებში. მისი სიგრძე 100 კმ, ხოლო სიგანე – 6 მეტრი იყო. სასკოლო ასაკის ბავშვებსა და მოზარდებს, აგრეთვე, სასულიერო და სამხედრო პირებს ბაჟის გადასახადი არ ეკისრებოდათ. ფილადელფია-ლანკასტერის შარაგზის ადგილას, აშშ-ში „ინჟინერიის საოცრებად“ და „ამერიკის პირველ სუპერტრასად“ მონათლული, პირველი ფასიანი გზატკეცილი გააკეთეს. პენსილვანიის მაგისტრალი 1940 წლის 1 ოქტომბერს გაიხსნა. მსგავსი ფასიანი ტრასები ამჟამად არსებობს სხვა რვა შტატშიც (ალაბამა, დელავერი, ილინოისი, ინდიანა, კალიფორნია, კოლორადო, ფლორიდა, ჯორჯია);
- 1794 წელს ფილადელფიელმა მეწაღეებმა ჩამოაყალიბეს პირველი პროფესიული ორგანიზაცია,[73] რომელიც მათი ხელფასის დაცვას ისახავდა მიზნად;
- 1816 წელს პირველი დამოუკიდებელი აფროამერიკული ეკლესია[74] დაფუძნდა;
- შეერთებული შტატების ისტორიაში პირველი საყოველთაო გაფიცვა[75] მოხდა 1835 წელს, როდესაც გენერალურმა პროფკავშირმა (GTU) ქალაქ ფილადელფიასა და ფილადელფიის ოლქში მოაწყო საპროტესტო ღონისძიება და 10-საათიანი სამუშაო გრაფიკის დაწესება მოითხოვა;
- 1863 წლის 1 იანვარს აბრაამ ლინკოლნმა სამხრეთის შტატებში მონობა გააუქმა შუა სამოქალაქო ომის მსვლელობისას. ორ საუკუნეზე მეტი დრო გასულიყო მას მერე, რაც 1688 წლის თებერვალში ევროპიდან ემიგრირებულმა მენონიტებმა[76] მონობის საწინააღმდეგო პირველი საპროტესტო გამოს-

BRAMS Journal No. 7 ISSN 2667-9299 (print)
2022 Volume 3, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

ვლა მოაწყვეს ამერიკაში. იმავე წლის აპრილში ფრენსის დენიელ პასტორიუსმა შეადგინა „ჯერმანტაუნის კვაკერთა პეტიცია მონობის წინააღმდეგ“, რომელსაც მან და მისმა სამმა თანამოაზრემ მოაწერა ხელი;

- 1874 წლის 1 ივლისს სწორედ ფილადელფიაში გაიხსნა აშშ-ში პირველი ზოოპარკი. ქარტიას ხელი მოეწერა 1859 წლის 21 მარტს, მაგრამ 15-წლიანი დაგვიანება ამერიკის სამოქალაქო ომმა გამოიწვია;[77]
- 1876 წელს ფილადელფიაში გამართული „საუკუნის გამოფენა“,[78] რომელიც ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაციის ასი წლისთავს მიეძღვნა, აშშ-ში ჩატარებული პირველი სავაჭრო შოუ[79] იყო. ამ საერთაშორისო გამოფენაზე წარუდგინა ფართო საზოგადოებას თავისი გენიალური გამოგონება – ტელეფონი, შოტლანდიური წარმოშობის ამერიკელმა გამომგონებელმა ალექსანდრე გრემ ბელმა (1847-1922);
- 1775 წლის 14 ივნისს მეორე კონტინენტურმა კონგრესმა ჩამოაყალიბა აშშ-ის პირველი რეგულარული საბრძოლო ძალები. კონტინენტურ არმიაში[80] იგულისხმებოდა 22-ათასიანი მილიციის ჯარი, რომელსაც იმ დროს ქალაქი ბოსტონი ჰქონდა ალყაში მოქცეული, და ნიუ-იორკში დისლოცირებული 5 ათასი მილიციელი. ამას დაემატა პირველი ფლოტისა და პირველი საზღვაო ქვეითი ჯარის შექმნა. 1789 წელს ამერიკის კონსტიტუციის თანახმად, რესპუბლიკის მთავარსარდალი გახდა აშშ-ის პრეზიდენტი და კონგრესს ომის გამოცხადების უფლებამოსილება მიენიჭა.[81] გენერალ-მაიორ ენტონი ვეინის ხელმძღვანელობით, 1792 წლის ივნისნოემბრის პერიოდში შეიქმნა პირველი არმია ფორტ ლაფაიეტში (პენსილვანიის შტატი);

BRAMS Journal No. 7 ISSN 2667-9299 (print)
2022 Volume 3, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

- პირველი ფლოტი შეიქმნა 1775 წლის 13 ოქტომბერს ფილადელფიაში გამართული კონტინენტური კონგრესის კრებაზე ხმის მიცემით მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე;[82]
- დამფუძნებელმა მამებმა 1777 წელს დაწერეს „კონფედერაციის მუხლები“, რომლის რატიფიცირება კონტინენტურმა კონგრესმა 1781 წელს მოახდინა. ამ დოკუმენტის საფუძველზე შეიქმნა პირველი სენატი აშშ-ში;[83]
- პრეზიდენტის სახლი ფილადელფიაში,[84] რომლის დეტალებია დღეს შემორჩენილი სამუზეუმო ექსპოზიციის სახით, 1790-1800 წლებში ამერიკის პირველი ორი პრეზიდენტის – ჯორჯ ვაშინგტონისა (1790 წლის ნოემბრიდან 1797 წლის მარტამდე) და ჯონ ადამსის (1797 წლის მარტიდან 1800 წლის ივნისამდე) რეზიდენციას წარმოადგენდა. ამ პერიოდში ფილადელფია აშშ-ის დედაქალაქი იყო, კოლუმბიის ოლქში კი გრანდიოზული შენობის მშენებლობა მიმდინარეობდა, დღეს რომ თეთრი სახლი ეწოდება;
- 1777 წლის 14 ივნისს მეორე კონტინენტურმა კონგრესმა რეზოლუცია მიიღო პირველ ეროვნულ დროშასთან დაკავშირებით.[85] ეს თარიღი ამერიკული დროშის დღედ დაწესდა აშშ-ში;
- ფილადელფიაში დღემდე ფუნქციონირებს ამერიკის პირველი ეროვნული სამკურნალო დაწესებულება – პენსილვანიის საავადმყოფო.[86] იგი 1751 წლის 11 მაისს დააარსეს ბენჯამინ ფრანკლინმა და ექიმმა თომას ბონდმა. ეს სასწავლო და სამკურნალო ჰოსპიტალი იმით გამოირჩეოდა, რომ უსასყიდლოდ მკურნალობდა ავადმყოფებს. ლოგიკურია, რომ პენსილვანიის საავადმყოფოს ბეჭედზე კეთილი სამარიტელია გამოსახული;

BRAMS Journal No. 7 ISSN 2667-9299 (print)
2022 Volume 3, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

- პირველად ფილადელფიაში დაიწყო ახალი, ამერიკული ერის ფორმირება.

ფილადელფიის შესახებ 1926 წელს გამოცემული წიგნის ავტორმა, გამოჩენილმა ჟურნალისტმა ჯორჯ მორგანმა (1854-1936) ლოგიკურად უწოდა მას „პირველობის ქალაქი“.[87]

სიმბოლურია, რომ „ძმური სიყვარულის ქალაქი“ სამოქალაქო უფლებების მდიდარი ისტორიით გამოირჩევა შეერთებულ შტატებში. 1775 წელს ფილადელფიაში ჩატარდა პენსილვანიის აბოლიციონისტური საზოგადოების სხდომა. ჟურნალისტმა და სოციალურმა რეფორმატორმა, უილიამ ლოიდ გარისონმა (1805-1879) სწორედ ამ ქალაქში ჩამოაყალიბა ამერიკული ანტიმონური საზოგადოება,[88] რომელიც 250 ათასამდე წევრს აერთიანებდა 1838 წლისთვის. 1831 წელს გარისონმა გაზეთი „ლიბერატორი“[89] დაარქვა, რომელსაც ბოსტონში გამოსცემდა და ანტიმონური აგიტაციისთვის იყენებდა.

ფილადელფიელმა აბოლიციონისტებმა სახელმწიფო სახლის ზარი საკუთარი მოძრაობის სიმბოლოდ გამოაცხადეს და „თავისუფლების ზარი“ უწოდეს. ფილადელფიის თავისუფლებისმოყვარული სული ლოგიკურად გაგრძელდა, როდესაც 1876 წელს სუფრაჟისტმა სუზენ ბ. ენტონიმ „ქალთა უფლებების დეკლარაცია“ გააცნო საზოგადოებას დამოუკიდებლობის დარბაზის მიმდებარე ტერიტორიაზე.

„ამერიკის ათენი“[90] პირველობას არა მხოლოდ პოლიტიკურ, არამედ საზოგადოებრივ-კულტურული ასპექტითაც ძნელად უთმობს აშშ-ის სხვა ქალაქებს. XX საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული ფილადელფია მიზანმიმართულად გადააქციეს ხელოვნებისა და კულტურის მძლავრ, მრავალფეროვან ცენტრად. თუმცა, მის დღევანდელ რეპუტაციას საფუძველი ორი საუკუნით ადრე, 1790-1840 წწ. ჩაეყარა, როდესაც 200-საუკუნოვან საბერძნეთის დედაქალაქთან დამსგავსება ფილადელფიელთა მარადიულ მიზანსწრაფვად ჩამოყალიბდა.[91] ანტიკურ

BRAMS Journal No. 7 ISSN 2667-9299 (print)
2022 Volume 3, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

საბერძნეთთან ასოციაციას ხელი იმან შეუწყო, რომ მრავალი ამერიკელი ათენური დემოკრატიის იდეალის „ახალ სამყაროში“ დამკვიდრებას ისახავდა მიზნად 1788 წელს აშშ-ის კონსტიტუციის რატიფიცირების შემდეგ. ათენის თემა და ძველი საბერძნეთის კულტურის მსოფლიო პოპულარობა განსაკუთრებით გაიზარდა XVIII საუკუნის შუა ხანებში, როდესაც მრავალი ანტიკური ქალაქის არქეოლოგიურმა შესწავლამ მასშტაბური ხასიათი მიიღო.

1790 წელს ფედერალური მთავრობა ფილადელფიაში გადავიდა ათი წლის ვადით. ახალი ერის დედაქალაქი მზად დახვდა ამერიკული „ოქროს ხანის“ პერსპექტივას როგორც სულიერად, ისე – ფინანსურადაც. ამიტომ, იგი ბუნებრივად გადაიქცა შეერთებული შტატების ინტელექტუალური აზროვნებისა და ვიზუალური გამოსახვის დედაქალაქად.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ქალაქის მნიშვნელობა მრავალმხრივ დაკნინდა. გემთმშენებლობა, რომელიც პირველი მსოფლიო ომის დროს მოკავშირეებს ამარაგებდა, შეწყდა. მოსახლეობა საგრძნობლად შემცირდა ჯერ ესპანური ციებით გამოწვეული პანდემიის,[92] მოგვიანებით კი ინდუსტრიული და ურბანული ცვლილებების გამო. ამ ყოველივეს შედეგად მოჰყვა სიღარიბე და რასობრივი დაძაბულობა ოდესღაც ამერიკის ერთ-ერთ ყველაზე აყვავებულ, ტოლერანტულ ქალაქში. მართალია, წარსული დიდება სრულად ვერ დაიბრუნა, მაგრამ გარკვეულმა ნოვაციებმა ქალაქის განვითარებაში (მაგალითად, ფილადელფიის გემთსამშენებლო და გემთშემკეთებელი ქარხანა,[93] ქალაქის ცენტრალური უბანი[94] და ა.შ.) მას ახალი სიცოცხლე ნამდვილად შთაბერა.

4. დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა თავისუფლების სიმბოლოებით

მცხეთა რელიგიურ სიწმინდეთა და ისტორიულ ძეგლთა, ფილადელფია კი ჭეშმარიტად მუზეუმებისა და

BRAMS Journal No. 7 ISSN 2667-9299 (print)
2022 Volume 3, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

ეროვნული დროშების ქალაქია. თანამედროვე ფილადელ-ფიის მთავარ ქუჩებში ფეხით გავლა ისეთივე საინტერესო და სახალისოა, როგორც მცხეთაში, თბილისსა თუ ლონ-დონში. ძირითადი განსხვავება, რაც უაპელაციოდ თვალ-შისაცემია, აშშ-ის გიგანტური სახელმწიფო დროშებია, ამაყად რომ ფრიალებენ ფილადელფიის ახალი, მრავალ-სართულიანი შენობებისა თუ სხვადასხვა დაწესებულე-ბის ფასადებზე და ამერიკულ ლაჟვარდოვან ცას ფარა-ვენ. ვფიქრობ, გიგანტური ალმებით ზეცის მორთვაში მრავლისმეტყველად აისახება პატრიოტიზმი ამერიკულად.

ბენჯამინ ფრანკლინის ხეივანში მსოფლიოს 108 ქვეყნის ერთ-ერთი სახელმწიფო სიმბოლოა გამოფენი-ლი.[95] საქართველოს ხუთჯვრიანი დროშა ზუსტად ორ ნაბიჯზეა როდენის მუზეუმიდან. ამ სიახლოვის ალუზი-ით, ფრანგი ხელოვანის „მოაზროვნე“ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის, ამ ორი ფილოსოფიური ცნების გამო დადარდიანებული ადამიანის სიმბოლოს ემსგავსება. ქან-დაკების მუქი ფერი სევდასთან ასოცირდება. ეს არ ჰგავს ფიქრს ფიქრისათვის, აზროვნების ტრიუმფალურ გამოვ-ლინებას თეთრი მარმარილო დამშვენდებოდა. როდენის „მოაზროვნე“ საკუთარი ჯვრის სიმძიმეს შეჭიდებული პი-როვნებაა. კონტრასტულია როდენის ქათქათა ხელის მტევნები სკულპტურაში „საკათედრო ტაძარი“, თითქოს, მიწიდან ამოზრდილი და ქმედებისათვის შემოქმედებითად განწყობილი. ამერიკის ისტორიაში ძნელად მოიძებნება ოგიუსტ როდენზე უფრო აპოლიტიკური ფრანგი, მაგრამ ფილადელფიის დროშების ხეივნის მეზობლად მისი მუზე-უმის განთავსება, მინიმუმ, შემოქმედებითი თავისუფლები-სათვის ბრძოლის ქვეტექსტით მუხტავს როდენის თითოე-ულ ექსპონატს.

თავისუფლებას ბრძოლით მოპოვება რომ სჭირდება, ამის სიმბოლოდ ფილადელფიის ხელოვნების მუზეუმის გვერდით დგას როკი ბალბოას[96] სკულპტურა. 72-საფეხუ-რიანი ფართე კიბის არბენის სურვილი ბუნებრივად გიჩ-ნდება. „როკის საფეხურების“ ზედა უჯრედიდან როცა

BRAMS Journal No. 7 ISSN 2667-9299 (print)
2022 Volume 3, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

ქალაქს გაჰყურებ, დროშების ხეივანი აშშ-მსოფლიო ერთობის პოლიტიკურ, სიმბოლურ ფიანდაზად იშლება.

ისტორიის გაკვეთილები ადასტურებს, რომ ყოველ ქვეყანას, თითოეულ ერსა და პიროვნებას საკუთარი საკეთებელი, საკუთარი გზა-სავალი, საკუთარი ჯვარი აქვს, რომლის პოვნა-მორგებას მოაქვს ინდივიდუალური თავისუფლება საზოგადოების საკეთილდღეოდ. თავისებურია მცხეთაც და ფილადელფიაც. ერთი შეხედვით, არც არაფრით ჰგვანან, ვერც დაემსგავსებიან ერთმანეთს. თუმცა, ორი განსხვავებული ერის ეს ორი ქალაქ-ბალავარი მუდამ ისტორიულ სიმბოლოდ იარსებებს თითოეული სახელმწიფოს აწმყოში. ფილადელფიაში თავისუფლების გაბზარული ზარი განაწყობს პატრიოტულად ამერიკელთა მორიგ თაობებს, აღმოსავლეთ საქართველოდან კი დედაქალაქური წარსულის გამოძახილად მოისმის გრემის დედო-ზარი.

ლიტერატურა ▫ References

1. Alexis de Tocqueville (1835, 1840). *Democracy in America* (French: "...neanmoins, chacun d'eux semble appelepar un dessein secret de la Providence a tenir unjour dans ses mains les destinees de la moitie du monde" – (ქართ.) „როგორც ჩანს, ბედისწერის ფარული ნებით, თითოეულის (აშშ და რუსეთი) დანიშნულებაა ოდესმე მსოფლიოს ნახევრის ბედის განკარგვა").
2. Nadare, Maia (2020). *The Media Mill: Political Communication*. Tbilisi: Publishing House Universal (In Georgian).
3. Russell, Stuart Jonathan, and Peter Norvig (2003). *Artificial Intelligence: A Modern Approach*. Upper Saddle River, NJ: Prentice Hall/Pearson Education.
4. *Concept of Independence – In psychology, economics and politics* (2022). Concept Daily [https://conceptdaily.com/concept-of-independence-in-psychology-economics-and-politics/].
5. *The Thirteen Colonies – Concept, history, process of independence* (2022). Concept Daily [https://conceptdaily.com/the-thirteen-colonies-concept-history-process-of-independence/].
6. The Constitution: How Was It Made? (2021, October 7). *National Archives* [archives.gov/founding-docs/constitution/how-was-it-made].

7. *Draft of a Charter of Rights* (1789, June 3). Founders Online, *National Archives* [https://founders.archives.gov/documents/Jefferson/01-15-02-0172].
8. აშშ კონსტიტუცია: კომპრომისის ხელოვნება ანუ მართულთა მმართველობა (1997). სამეცნიერო რედაქტორი – მინდია უგრეხელიძე, ინგლისურიდან თარგმნეს – მინდია უგრეხელიძემ და ვიქტორ ყიფიანმა, თბილისი: გამომცემლობა „ჯისიაი“.
9. სპინერი (ინგლ. Fidget spinner) – სტრესის მოსახსნელად განკუთვნილი სათამაშო. შეიქმნა, დაახლოებით, 2014-2016 წლებს შორის. აშშ-ის ბაზარზე 2017 წელს გამოჩნდა და პოპულარობის პიკს მაისში მიაღწია [In: Malone, Kenny (2017, May 4). Fidget spinner emerges as must-have toy of the year, *NPR* (npr.org/2017/05/04/526931943/fidget-spinner-emerges-as-must-have-toy-of-the-year)].
10. ბორჯღალი – მზის ქართული წარმართული სიმბოლოს გრაფიკული გამოსახულება. გამოყენებულია ქართული ფულის – ლარის სიმბოლიკაში, ასევე, არაერთ ადგილობრივ ლოგოსა თუ ბრენდის ნიშანში (უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი (2006). სამტომეული შეადგინა ალექსანდრე ელერდაშვილმა, თბილისი: „ფანტაზია“).
11. ეთნარქი (ბერძ.) – გვარის, ტომის მამამთავარი.
12. ქავთარაძე გიორგი, სად მდებარეობდა თავდაპირველად მცხეთა და რას უნდა ნიშნავდეს მისი სახელწოდება? [http://saunje.ge/index.php?id=1307&lang=ru].
13. ქართლოსი – ბიბლიური საქართველოს არქეოლოგია (1959). რედაქტორი: ანდრია აფაქიძე, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 255-256.
14. კიკნაძე ზურაბ (2007). ქართული მითოლოგია. თბილისი: „ბაკმი“.
15. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა (1990). წიგნი მე-5, სარედაქციო კოლეგია: ვახტანგ დოლიძე, ს. კინწურაშვილი (ხელმძღვანელი), უ. სიდამონიძე, გ. ცქიტიშვილი; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, თბილისი.
16. დიღმელაშვილი ქეთევან, მცხეთის აკლდამა, პორტალი „ჩვენი საუნჯე“ [http://saunje.ge/index.php?id=1316&lang=ka].
17. ყაუხჩიშვილი სიმონ (1941). არმაზში აღმოჩენილი ბერძნული წარწერები. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი „მოამბე“, ტომი II, №1-2, თბილისი, გვ. 172-173.
18. სამთავროს წმ. ნინოს ეკლესია – მდებარეობს სამთავროს ტაძრის აღმოსავლეთით. ისტორიული წყაროებისა და „წმინდა ნინოს ცხოვრების“ მიხედვით, საქართველოს პირველმა ქრისტიანმა მეფემ, მირიანმა ააგო მაყვლოვანში იმ ადგილას, სადაც მცხეთაში მოსული წმინდა ნინო სამი წლის განმავლობაში ფარულად ლოცულობდა.

19. ᲒᲔᲗᲡᲘᲛᲐᲜᲘᲐ – ეკლესია თბილისი-მცხეთის საავტომობილო გზის მარცხენა მხარეს, დავით აღმაშენებლის ქუჩისპირა შემაღლებაზე, სვეტიცხოვლის ტაძრის დასავლეთით 800 მეტრში.
20. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა (1990). ტომი 5, თბილისი, გვ. 284-287.
21. ᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲡ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲔᲠᲘ – საეპისკოპოსო ტაძრის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში პირველი ქართველი ქრისტიანი მეფის მირიანისა და ნანა დედოფლის საფლავებია.
22. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა (1990). ტომი 5, თბილისი, გვ. 243-244.
23. „მცხეთა“ (ლექსი) – ირაკლი აბაშიძე [https://poetry.ge/poets/irakli-abashidze/poems/588.mtskheta.htm].
24. ᲨᲘᲚᲘᲐᲛ ᲞᲔᲜᲘ (William Penn, დ. 14 ოქტომბერი, 1644 – გ. 30 ივლისი, 1718) – ინგლისელი მწერალი, რელიგიური მოაზროვნე და გავლენიანი საზოგადო მოღვაწე კვაკერთა წრიდან. განათლება მიიღო ოქსფორდში [Tolles, Frederick B. (2019, September 10). William Penn. *Encyclopedia Britannica* (britannica.com/biography/William-Penn-English-Quaker-leader-and-colonist)].
25. Fairmount Park Association (1974). *Sculpture of a City: Philadelphia's Treasures in Bronze and Stone*. New York, NY: Walker Publishing Co., Inc. [https://archive.org/details/sculptureofcityp0000unse/page/n7/mode/2up].
26. Hornblum, Allen M., and George J. Holmes (2003). *Philadelphia's City Hall*. Mount Pleasant, SC: Arcadia Publishing.
27. Hoopes, Judith (1987, April 12). Towering Over William Penn; Philadelphia. *The New York Times*, pp. R25.
28. Leonard, Jeanne (2008, June 6). Comcast Center claims its place atop the Philadelphia skyline. *Liberty Trust* (press release).
29. Romero, Melissa (2017, November 28). Comcast Technology Center is officially the tallest building in Philly. *Curbed Philly* [https://philly.curbed.com].
30. Matza, Michael (2008, October 22). Lifting the curse of William Penn. *Philly* [philly.com/philly/news/local/20081022_Lifting_the_curse_of_William_Penn.html].
31. Nielsen, Euell A. (2022, January 13). Germantown Quaker Petition Against Slavery (1688). *Blackpast Store* [blackpast.org/african-american-history/germantown-quaker-petition-against-slavery-1688/].
32. Wister, Sarah (c1902). *Sally Wister's Journal: A true Narrative, Being a Quaker Maiden's Account of her Experiences with Officers of the Continental Army – 1777-1778*. Edited by Albert Cook Myers, Philadelphia: Ferris & Leach Publishers [https://archive.org/details/sallywistersjour00wistrich/page/16/mode/2up].
33. ᲐᲠᲢᲔᲤᲐᲥᲢᲘ – ადამიანის მიერ შექმნილი, ჩვეულებრივ, კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობის მქონე საგანი.

34. ლიბერტარიანიზმი – პოლიტიკური ფილოსოფიის განშტოება, რომლის მიმდევრებიც უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ პიროვნულ თავისუფლებას და მხარს უჭერენ საზოგადოების არსებობას მთავრობის ნომინალური ძალაუფლების ქვეშ, ან სრულიად თავისუფლად და დამოუკიდებლად.
35. Kann, Mark E. (1999). *The Gendering of American Politics: Founding Mothers, Founding Fathers, and Political Patriarchy*. Wesstport, CT: Praeger Publishers.
36. Gauthier, Alex (2014, July 4). 6 Reasons Why Benjamin Franklin is the Best Founding Father. *Independent Voter News* [https://ivn.us/2014/07/04/6-reasons-benjamin-franklin-best-founding-father].
37. Join, or Die (1754, May 9). *The Pensylvania Gazette*, Philadelphia, PA, page 2 [newspapers.com/article/1607106/join_or_die/].
38. Independence Hall [nps.gov/inde/learn/historyculture/places-independencehall.htm].
39. Independence Hall History: The Birthplace of America (2018, July 3). *The Constitutional Walking Tour of Philadelphia* [theconstitutional.com/blog/2016/03/15/independence-hall-history].
40. ძველი აღთქმა, ლევიანნი, თავი ოცდამეხუთე: „გაათავისუფლეთ ქვეყანაში ყველა მისი მცხოვრები“ [orthodoxy.ge/tserili/biblia_sruli/dzveli/levianni/levianni-25.htm].
41. King James Bible, Leviticus 25:10 – “proclaim liberty throughout all the land unto all the inhabitants thereof” [https://biblehub.com/leviticus/25-10.htm].
42. Britannica, The Editors of Encyclopaedia (2019, November 6). Stamp Act. *Encyclopedia Britannica* (britannica.com/event/Stamp-Act-Great-Britain-1765); Britannica, The Editors of Encyclopaedia (2020, May 4). Townshend Acts. *Encyclopedia Britannica* (britannica.com/event/Townshend-Acts); etc.
43. Paine, Thomas (2021). *Common Sense: The Origin and Design of Government*. Asturias, Spain: Entreacacias, SL.
44. Britannica, The Editors of Encyclopaedia (2020, October 30). Constitution of the United States of America. *Encyclopedia Britannica* [britannica.com/topic/Constitution-of-the-United-States-of-America].
45. Bluhm, Raymond K. (2017, April 12). Battle of Germantown. *Encyclopedia Britannica* [britannica.com/event/Battle-of-Germantown].
46. საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია (2010). როლანდ თოფჩიშვილის საერთო რედაქციით, თბილისი: „უნივერსალი“.
47. The Library Company of Philadelphia [https://librarycompany.org/about-lcp/].
48. Collier, Sabrina (2022, April 20). 10 of the oldest universities in the US. *Top Universities* [topuniversities.com/blog/10-oldest-universities-us].
49. Britannica, The Editors of Encyclopaedia (2020, May 27). magazine. *Encyclopedia Britannica* [britannica.com/topic/magazine-publishing].

50. American Philosophical Society [www.amphilsoc.org].
51. Penn Medicine [pennmedicine.org].
52. The Pennsylvania State House, now Independence Hall [ushistory.org/tour/independence-hall.htm].
53. Mires, Charlene (2002). *Independence Hall in American Memory*. Philadelphia: University of Pennsylvania Press.
54. West, Richard Samuel, *The First 150 Years of the American Political Cartoon*, Politics in Graphic Detail: Exploring History through Political Cartoons [http://digitalhistory.hsp.org/hint/politics-graphic-detail/essay/first-150-years-american-political-cartoon].
55. Christ Church Philadelphia [christchurchphila.org].
56. *The Pennsylvania Packer, and Daily Advertiser (Philadelphia, Pa.) 1784-1790*, Library of Congress, Directory of U.S. Newspapers in American Libraries [loc.gov/item/sn83021129/].
57. Washington, George (1796, September 17). Farewell Address ("Friends and Fellow Citizens"). Online by Gerhard Peters and John T. Woolley, *The American Presidency Project* [presidency.ucsb.edu/node/200675].
58. *The Philadelphia Inquirer* [inquirer.com].
59. Society of the Sons of St. George, established at Philadelphia for the advice and assistance of Englishmen in distress, aka St. George Society of Philadelphia [https://stgeorgephiladelphia.org].
60. First Continental Congress [ushistory.org/Declaration/related/congress.html].
61. Carpenters' Hall of Philadelphia [carpentershall.org].
62. History.com Editors (2020, April 13). First American abolition society founded in Philadelphia. *HISTORY*, A&E Television Networks [history.com/this-day-in-history/first-american-abolition-society-founded-in-philadelphia].
63. Ellis, Joseph J. (2005). *Founding Brothers: The Revolutionary Generation*. New York, NY: Alfred A. Knopf; Winner of the Pulitzer Prize.
64. Rawle & Henderson LLP [https://rawle.com].
65. Ward, David C. (2004). *Charles Willson Peale: Art and Selfhood in the Early Republic*. Oakland: University of California Press; Britannica, The Editors of Encyclopaedia (2022, June 3). Charles Willson Peale. *Encyclopedia Britannica* [britannica.com/biography/Charles-Willson-Peale].
66. Bellis, Mary (2018, January 30). John Fitch: Inventor of the Steamboat. *ThoughtCo*. [thoughtco.com/john-fitch-steamboat-4072262].
67. Milestones in U.S. patenting (2021, May 10). United States Patent and Trademark Office [uspto.gov/patents/milestones].
68. Chen, James (2022, April 30). Philadelphia Stock Exchange (PHLX). Reviewed by Julius Mansa, *Investopedia* [investopedia.com/terms/p/phlx.asp].
69. First Bank of the United States [nps.gov/inde/learn/historyculture/places-firstbank.htm].

70. Coinage Act of April 2, 1792 [usmint.gov/learn/history/historical-documents/coinage-act-of-april-2-1792].
71. History of the U.S. Mint, by United States Mint: Connecting America through Coins [usmint.gov/learn/history/overview].
72. Landis, Charles I. (1918). History of the Philadelphia and Lancaster Turnpike: The First Long Turnpike in the United States. *Pennsylvania Magazine of History and Biography*, 42(1), 1-28.
73. Tomlins, Christopher (1993). *Law, Labor and Ideology in the Early American Republic*. New York, NY: Cambridge University Press.
74. Howell, Ricardo (2009). *Mother Bethel AME Church: Congregation and Community*. The Encyclopedia of Greater Philadelphia, University of Pennsylvania Press [https://philadelphiaencyclopedia.org/essays/mother-bethel-ame-church-congregation-and-community-2/].
75. Grubbs, Patrick (2017). *General Trades Union Strike (1835)*. The Encyclopedia of Greater Philadelphia, Washington, DC: Rutgers University Press [https://philadelphiaencyclopedia.org/essays/general-trades-union-strike-1835/].
76. მენონიტები – 1536 წელს ევროპაში შექმნილი პროტესტანტული სექტის წევრები. ბიბლიას იზიარებენ, იესოს ღვთიურ ბუნებას აღიარებენ, მაგრამ უარყოფენ წმინდა სამებას. მათი ყოველდღიური ცხოვრება მძიმე შრომის, ოჯახზე ზრუნვისა და ლოცვისგან შედგება [Britannica, The Editors of Encyclopaedia (3 May 2019)].
77. Philadelphia Zoo [philadelphiazoo.org/about-the-zoo/].
78. Philadelphia Centennial Exposition [Britannica, The Editors of Encyclopaedia (2008, April 10). Philadelphia Centennial Exposition. *Encyclopedia Britannica* [britannica.com/event/Philadelphia-Centennial-Exposition].
79. Walker, Amanda (2020, August 20). The History of Trade Shows. *Trade Show News Network* (TSNN) [tsnn.com/blog/history-trade-shows].
80. Britannica, The Editors of Encyclopaedia (2020, October 1). The United States Army. *Encyclopedia Britannica* [britannica.com/topic/The-United-States-Army].
81. Black, Jeremy M. (2002). *America as a Military Power: From the American Revolution to the Civil War*. West Westport, CT: Praeger.
82. The birth of the navy of the United States [history.navy.mil/browse-by-topic/commemorations-toolkits/navy-birthday/OriginsNavy/the-birth-of-the-navy-of-the-united-states.html]; Naval History and Heritage Command: The Birth of the U.S. Navy [history.navy.mil/browse-by-topic/heritage/origins-of-the-navy/birth-of-the-us-navy.html].
83. Senate (2017, July 28), by history.com editors. *HISTORY* [history.com/topics/us-government-and-politics/history-of-the-us-senate]; About the Senate and the Constitution. *US Senate* [senate.gov/about/origins-foundations/senate-and-constitution.htm].

84. Lawler, Jr., Edward (2010, May). The President's House in Philadelphia: A Brief History. *US History* [ushistory.org/presidentshouse/history/briefhistory.php].
85. Short History of the United States Flag (2019, November 6). *American Battlefield Trust* [battlefields.org/learn/articles/short-history-united-states-flag]; Smith, Whitney and Leepson, Marc (2024, March 5). Flag of the United States of America. *Encyclopedia Britannica* [britannica.com/topic/flag-of-the-United-States-of-America].
86. Pennsylvania Hospital [pennmedicine.org/for-patients-and-visitors/penn-medicine-locations/pennsylvania-hospital].
87. Morgan, George (2022). *The City of Firsts: being a complete history of the city of Philadelphia from its founding, in 1682, to the present time, written by George Morgan in 1926*. Chisinau, Moldova: Generic.
88. Thomas, John L. (2020, December 23). William Lloyd Garrison. *Encyclopedia Britannica* [britannica.com/biography/William-Lloyd-Garrison].
89. Britannica, The Editors of Encyclopaedia (2021, November 12). The Liberator. *Encyclopedia Britannica* [britannica.com/topic/The-Liberator-American-newspaper].
90. Richardson, Edgar P. (1982). *The Athens of America, 1800-1825*, In: Russell F. Weigley (Ed.) (1982). *Philadelphia: A 300-Year History*. New York, NY: W.W. Norton.
91. Alevizatos Kirtley, Alexandra (2021). Athens of America. *The Encyclopedia of Greater Philadelphia* [https://philadelphiaencyclopedia.org/themes/athens-of-america].
92. 1918-1919 წლებში ესპანური ციებით გამოწვეული პანდემიის დროს ფილადელფიაში ნახევარ მილიონზე მეტი ადამიანი დაავადდა სასიკვდილო სენით [History.com Editors (2019, March 8). Philadelphia. *HISTORY*, A&E Television Networks (history.com/topics/us-states/philadelphia-pennsylvania)].
93. Navy Yard Philadelphia [https://navyyard.org].
94. Center City District [centercityphila.org].
95. Mancini, Maggie (2022, November 11). International flags on the Benjamin Franklin Parkway to be replaced. *PhillyVoice* [phillyvoice.com/benjamin-franklin-parkway-flags-of-the-nation-removed-replaced-philadelphia-city-government/].
96. *Rocky.* Directed by John G. Avildsen, written by Sylvester Stallone, Chartoff-Winkler Productions, 1976.